საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი, ივლისი 14
1921 წ.
№ 149
ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელ.: ფონ 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო აცნობებს ქართველ მორწმუნე საზოგადოებას, რომ ივლისის 11-ს საღამოს 5 ნახ. საათზე გარდაიცვალა

**კათოლიკოზ-პატრიარქი**

**ლეონიდი**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, მასი უწმიდესობის კარის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, ივლისის 17-ს სიონის საკრებულო ტაძარში.

---

საქართველოს სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს

**დიმიტრი ფარესიშვილის**

ტრაგიკულ გარდაცვალებას ქალ. ქუთაისში. 47

---

ღრმად დამწუხრებული სამსონ ნიკოლოზის ძე კალაძე მეუღლე, ნადეჟდა დიმიტრის ასული, შვილებით: ვერა და ნიკოლოზი, დიდედა ნინო ივანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ივლისის 11-ს, გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, პირველთა შვილი, მეორეთა და, მხოლოდ მესამესი შვილიშვილი ტფილისის მე-7 ქალთა გიმნაზიის (ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი) მე 6 კლასის მოწაფე

**თამარა კალაძე**

პანაშვიდი დანიშნულია ივლისის 13-ს საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება ივლისის 14-ს დილით 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 23 1021

---

გულდამწვარნი და ღრმად მწუხარებაში ჩაფლულნი: დედა ნინო წითლიაშვილისა, ძმა არჩილ ფარესიშვილი ცოლ-შვილით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

**დიმიტრი დავითის ძის ფარესიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღ. 6 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხვალ, პარასკევს. ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის ტაძრიდან, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1022

---

**ქართული კლუბი** საზაფხულო დარბაზი
ხუთშაბათს, ივლისის 14-ს გაიმართება

**ს. ფაშალიშვილის საღამო**

მონაწილეობენ:

ი. გრიშაშვილი, თამარ წერეთელი,
ოვ. თუმანიანი, ივ. სარაჯიშვილი,
ს. ფაშალიშვილი, ა. ინაშვილი,
კ. გამსახურდია, დ. აკოფაშვილი,
ალ. წერეთელი, ბ. პრონზოროვსკი,
შ. ამირაჯიბი, ალ. იმედაშვილი,
ი. მჭედლიშვილი, ტასო აბაშიძე,
მარიჯან. მ. ქიაჟელი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. დასაწყისი საღ. 9 ნახ. საათ. 46

---

## ახალი ეროვნული საფრთხე

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნდა ორი ძლიერ საინტერესო დოკუმენტი. ორივე ეხება ერთსა და იმავე საკითხს. ეს არის სამუსლიმანო საქართველო, მისი დღევანდელი მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები.

ეს ორი დოკუმენტი არის: ინტერვიუ „აჭარის მეჯლისის“ დელეგაციასთან და ამ დელეგაციის მიერ რევკომისათვის წარდგენილი „მემორანდუმი“.

როგორც მკითხველმა იცის ბათომის საკითხი პირველად არ დასმულა ჩვენს წინაშე. ამ სამი წლის განმავლობაში იგი იყო ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც იწვევდა ახალი საქართველოს უდიდეს ყურადღებას და მის ყველა ცოცხალ ძალების დაძაბვას. მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი შეიქნა, იგი განუწყვეტლივ იბრძოდა ბათომისათვის, ბათომი და მისი ოლქი იყო საგანი საპარლამენტო შეკითხვების, ბათომს იცავდა საქართველო იარაღით ფრონტზე და დემონსტრაციებით ქუჩებში და ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ბათომი და მისი ოლქი საქართველოსთვის არის ისეთი ნაწილი, რომლის მოკვეთა შეუძლებელია ვიდრე საქართველო ცოცხალი არის.

ბათომსა და მის ოლქს ყავდა მრავალი უკანონო პრეტენდენტი და მხოლოდ ერთი კანონიერი პატრონი, ეს უკანასკნელი იყო საქართველო. საქართველოს მტრებმა მიმართეს ათასგვარ ხრიკებს, რათა საქართველოსთვის ჩამოეგლიჯათ ეს განუყოფელი მისი ნაწილი. ზოგი მათგანი იარაღს მიმართავდა (ოსმალეთი), ზოგი ეფარებოდა ამიერ კავკასიის საერთო ინტერესებს და ბათომის ნეიტრალიზაციას მოითხოვდა, მაგრამ საქართველოს მტრების ცდა ამაო გამოდგა: ვერვინ შესძლო საქართველოს გაგლეჯა, ბათომი და მისი ოლქი საქართველოს დარჩა, მიენიჭა ავტონომია და ამით უკვე გადაწყდა ბათომისა და მის ოლქის საკითხი.

როგორც ზემოხსენებული დოკუმენტიდან სჩანს ბათომის საკითხი საქართველოს წინაშე ისევ დასმულა, მაგრამ დღეს მას აქვს სრულიად ახალი სახე.

**ბათომი დღემდის ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი როგორც სამუსლიმანო საქართველოს ცენტრი და საქართველოს განუყოფელი ნაწილი. დღეს ბათომი გამოყავთ როგორც აჭარის ცენტრი და საქართველოს—ვინ იცის—როგორი ნაწილი!**

„მემორანდუმიდან“ ისე გამოდის, თითქო „აჭარისტანი“ იყოს არა თვით საქართველო, არამედ რაღაც ცალკე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც სურს საქართველოსთან ახალი სახელმწიფოებრივ-ფედერაციული ერთი-ერთობა დაამყაროს. ეს ყოვლად მიუღებელია.

სამუსლიმანო საქართველოს (და არა აჭარის მარტო!) უნდა მიენიჭოს ფართო ავტონომია. ეს უდაოა მთელი საქართველოსათვის. ამ ავტონომიის ფარგლების გამორკვევაში უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ: 1) საქართველო არის უნიტარული და არა ფედერატიული რესპუბლიკა და 2) სამუსლიმანო საქართველო დედა საქართველოსადმი თავის დამოკიდებულებაში ვერ გამოვა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპიდან, რადგანაც სამუსლიმანო საქართველო დედა საქართველოსაგან განსხვავდება არა ეროვნულად, არამედ მხოლოდ კულტურულ სარწმუნოებრივი თავისებურობით. ბათომი არის განაპირა ოლქი. აქ თავის ინტრიგებს დიდი ხანია აწარმოებს ოსმალეთი. არც ძველი ოსმალეთი და არც ახალი ეროვნული ოსმალეთი ბათომზე ხელს არ იღებს, ჩვენ დაგვარწმუნა მწარე გამოცდილებამ.

აჭარის მოღვაწეთ უნდა ესმოდეთ, რომ ბათომი და მისი ოლქი არის ჩვენი ქვეყნის კარები. ჩვენ უაღრესად ვართ დაინტერესებული, რომ ეს კარები იყოს **საიმედო ხელში.**

ჩვენ გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ **ჩვენი ქვეყნის დარაჯად, რომელსაც ამ კარებთან დავაყენებთ, ყველა ვერ გამოდგება.**

„მემორანდუმის“ თანახმად საქართველოსა და აჭარის შორის მყარდება ისეთი სუსტი კავშირი, რომ **იგი ბევრად არ განსხვავდება ხრული განცალკევებისაგან**.

ამ გვარი ურთი ერთობის დასაბუთება და გამართლება საქართველოს მეგობარს ალარ შეუძლიან!.

წარმოიდგინეთ აჭარა დღეს თავის დელეგაციის პირით იმაზე მეტს თხოულობს, რასაც საქართველო თავისთვის თხოულობდა რუსეთისაგან 1918 წლამდი!..

ვინც მომხრეა საქართველოს დამოუკიდებლობის, ის ასეთ გზას ვერ დაადგება, ვინაიდან აშკარაა: თუ თავისთვის წავიდა აჭარისტანი, აჭარა, ცხინვალი, თუ ნავთლუღამდი მოვიდა ალმოსავლეთით საქართველოს საზღვრები—**საქართველო აღარ იქნება!**

ჩვენი მიზნებისათვის ჩვენ ყველა ძალებს გამოვიყენებთო, ამბობენ თავის ინტერვიუში „აჭარისტანის“ დელეგატები. ეს მეტად სახიფათო გზა არის ერთად ერთი ძალა, რომელმაც უნდა გადაჰრას სამუსლიმანო საქართველოს ბედი ეს არის მთლიანი საქართველო, მეტი არავინ!.

სხვა ძალების ინტერესები ბათომის საკითხში დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საქართველოს და მაშასადამე თვით ბათომის მშრომელთა ინტერესებს. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთ წუთსაც!.. ენის ფინანსების და სხვა საკითხები მემორანდუმში სრულებით არ არის გამორკვეული ან მეტად ახირებულად არის გამორკვეული ამ საკითხებში გაურკვევლობა ხელსაყრელია მხოლოდ საქართველოს მტრებისათვის!

ბათომსა და მის ოლქში არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა...

როდესაც „აჭარის მეჯლისის“ ერთ-ერთ წევრს ჰკითხეს: სად არიან ძველი მეჯლისის წევრებიო მან განაცხადა: ისინი გაიქცნენ ზოგი როგორც ბეგების დამცველი, ზოგი კი როგორც საქართველოს აგენტები. თუ უკანასკნელ ფრაზაში ნაგულისხმევია საქართველოს ყოფილი მთავრობის აგენტები, ჩვენ კმაყოფილების მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ თუ აქ არის ლაპარაკი „საქართველოს მომხრეებზე“ მაშინ ეს სულ სხვა რამეს ნიშნავს!..

საქართველოს აჭარაში აგენტები არა ყავს და არც ესაჭიროება, ვინაიდან აჭარა არის თვით საქართველო. აჭარაში საქართველოს ჰყავს მომხრეები, მეგობრები და ვინც მათ ებრძვის და აშავებს—ის საქართველოს ებრძვის და ეროვნულად გათვითცნობიერებულ და რელიგიურ ფანატიზმისაგან განთავისუფლებულ აჭარას აშავებს!..

ზ.—ელი.

---

## აჭარისტანის მეჯლისის „მემორანდუმის“ გამო

ამას წინად ლია ბარათით მივმართე სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარეს ასან ეფენდი ლორთქიფანიძეს იმ დირექტივებით, რომელთაც გარეშე ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ავტონომიური არსებობა შოთა რუსთაველის სამშობლოსი. დირექტივები რა საკვირველია ეხებოდა ყველ ფერს იმას რაც განამტკიცებს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ და კულტურულ ერთობას მუსლიმან და ქრისტიან ქართველებ შორის სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის.

როცა გავეცანით იმ მემორანდუმს, აჭარისტანის მეჯლისს რომ წარუდგენია ივნისის 14-ს საქართველოს რევკომისთვის, სამწუხაროდ უნდა ავღიაროთ, რომ მემორანდუმი ნაკარნახევია უფრო ღალატის, ვიდრე ერთობის, ძმობის გრძნობისა.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მეჯლისის სახელი აჭარისტანის მეჯლისი. ჯერ ერთი რომ აჭარა პატარა ნაწილია სამუსლიმანო საქართველოსი და მისი კიდევ თურქულად გამოიქმა აჭარისტანად ე. ი. გათურქება ყოვლად შეუწყნარებელია, ეს არის მოღალატური მისწრაფება რომელიც მეცნიერებას და მის აკადემიზმს უარ ჰყოფს, ოღონდ თავის ხინჯიან გულის ზრახვა აისრულოს. სამუსლიმანო საქართველო შეიცავს აგრეთვე ქანეთ (ლაზისტანს) ისპირს, თორთუმს, ართვინს, არტაანს და ოლთისს, რომელიც დღეს იმპერიალისტ-ოსმალების აგრძანებლად გადაქცეულა და თუ აჭარისტანის მეჯლისში გაზატონებული პარტია ხადას მილეთისა ყურმოჭრილი ყმა არ ბრძანდება ქემალისტებისა და შესწევს კიდევ მამულიშვილობის გრძნობა საჯაროდ განაცხადოს პროტესტი ქემალისტების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვოს ხსენებული ქვეყნების, როგორც საქართველოს განუყრელი ნაწილების მოქცევა საქართველოს საზღვრებში. ამას მოითხოვს პატიოსნება, ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი ხალხის ფუძარების ინტერესი და სარგებლობა.

მეჯლისი სურვილს და თანხმობას აცხადებს შევიდეს საქართველოს ფედერაციაში თითქოს სამუსლიმანო საქართველო უცხო ქვეყანა იყვეს უცხო ტომელები, ესახლნენ იქ და არა ქართველები. გასაოცარია, რომ თუ მათი სურვილი როგორმე განხორციელებულ არ იქმნა, ასან ეფენდი ლორთქიფანიძეს და სადაი მილეთის პარტიას შეუძლიან მიჰმართონ გარეშე ძალას; ხოლო თუ შეძლება ექმნათ დამოუკიდებლივ იმოქმედონ თუ ასან ეფენდი ლორთქიფანიძე ძმა არის უსუფ ლორთქიფანიძისა, რომელმაც ფრანგულად მითხრა ლა რეპუბლიკ ოკუპელი სულანაციონალიტე—ვითომ დღევანდელი სარწმუნოება ეროვნება უნდა იყვესო, თვით ასან ეფენდიც მსოფლიო ომის პირველ წლებში ასეთ ქემალისტურ აზრებს არ იზიარებდა საკვირველია ეხლა რად მოაწერინა ხელი ისეთ მემორანდუმზე, რომელიც მარტივად რომ ითქვას საქართველოს ღალატია. მემორანდუმი არა თუ ავტონომიას მოითხოვს, არამედ დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეტენზიასაც აცხადებს. საზღვრები კი არ შემოუფარგლავს არც ის მოუხსენებია თუ სამუსლიმანო საქართველოში რომელი ენა მიჩნეული უნდა იყვეს სახელმწიფო ენად, რომელ სახელმწიფოებ-

რიობა, რომელი კულტურა უნდა ბატონობდეს.

ილოდუს ყველამ განსაკუთრებით მემორანდუმის ავტორებმა, რომელთაც ხელი მოუწერიათ მემორანდუმზე რომ დღეს ხამუხლიმანთ საქართველოს არსებობის საფუძვლად უნდა იყვეს ისლამი, ქართულად განმარტებული არაბულის ენის ცოდნით განმტკიცებული ქართული ენა, ქართული სახელმწიფოებრიობა, ქართული კულტურა და არა ოსმალური ენა, ოსმალური სახელმწიფოებრიობა, ოსმალური კულტურა.

ამას მოვითხოვთ ადამიანობის, სამართლიანობის მშრომელი ხალხის სიყვარულის პრინციპით.

ძირს ოსმალეთის უღელი როგორიც არ უნდა იყვეს.

პეტრე მირიანაშვილი.

## სადღეისო წერილები

3

ეროვნული პოლიტიკის საფუძვლები.

თანამედროვე ეპოქა დიდი ნაციონალური გრძნობებისა და ეროვნული თვითშემეცნების გამომხატველია. საერთაშორისო ბრძოლის პროცესი, რევოლიუციონურ და იმპერიალისტურ ძალთა ჭიდილი დიდი ეროვნული დემონსტრაციების ფერადებითაც იღებება და ძველი, ძირმომპალი საზოგადოებრივი წყობილების გარდატეხის ხანას ნაციონალური მომენტებიც ამშვენებენ. საერთაშორისო პროლეტარიატმა განვლო თავისი განვითარების ბავშობის პერიოდი, როდესაც იგი კოსმოპოლიტიურად მოაზროვნე უარყოფდა ყოველგვარ ეროვნებას და ისტორიულ ცხოვრების გარდამავალ კატეგორიად მიაჩნდა ერი. ეროვნული პოლიტიკა, ერი განდევნილი იყო პროლეტარიატის საბრძოლველ პროგრამიდან და ეს ძმიმე ცოდვა დიდი ხნის განმავლობაში ზიდა ევროპის მშრომელმა კლასმა. მაგრამ ისტორიულ ცხოვრების პირობები შეიცვალნენ; საერთაშორისო ცხოვრების მოედანი ახალი მომენტებით და ახალი ხაზებით დაისერა, ისტორიამ აზროვნებას ჩამოაცილა ყალბი ფერადები და გონების აპარატს გარდუვალ [illegible] რკალი შემოარტყა. დღეს პროლეტარიატი და სოციალისტური აზროვნება აღარ აწარმოებს [illegible] იმ ეროვნული პრინციპის წინააღმდეგ; სოციალისტური აზროვნებაში დღეს მოხდა ბუნებრივი შეღლება ეროვნულისა და სოციალურის, ერისა და სოციალიზმის და ეს ორი ცნება განუყრელად შეიქმნა რევოლიუციონური პროლეტარიატის პრაქტიკულ პოლიტიკის საგნად. ეროვნული მომენტი ისეთივე რევოლიუციონური ფაქტორად შეიქმნა როგორც სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მომენტები. ბრძოლის სარბიელი გაფართოვდა და რევოლიუციის შინაარსი და მიზნები მრავალ-ფეროვანი შეიქმნა.

დღევანდელმა ეპოქამ ეროვნული პოლიტიკის არსებობა და საჭიროება გაამართლა. დღეს ერი რევოლიუციისათვის აღარ წარმოადგენს გარდამავალ კატეგორიას, ისტორიულ ცხოვრებისაგან სასიკვდილოდ განწირულს, მისი არსებობა, როგორც სოციალური ორგანიზმის მარადიული და ხელუხლებელია. სოციალიზმი ისახავს მიზნად არა ერის სიკვდილს, არამედ მის გაჯანსაღებას და ძველი დახავსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების ახალი საფუძველზე გარდაქმნას.

ერი და სოციალიზმი—ერთი მეორეს, შევსება და რაციონალური შეთანხმებაა. სოციალიზმის განხორციელება ეროვნულ ორგანიზმის გარეშე შეუძლებელია,—მეორეს მხრით ეროვნული ორგანოების გაჯანსაღება სოციალიზმით მიუღწეველია. სოციალიზმი ერის შინაური ცხოვრების გარდაქმნაა, სოციალური ცხოვრების რეგულიატორია.

ნაციონალიზმსა და სოციალიზმს შორის არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა არც მეთოდებში და არც თავის მიზნებში.

სოციალიზმ-ფედერალიზმისათვის, რომელმაც დიდი ხანია მოახდინა ამ ცნებათა სინტეზი ასეთი დებულება ნათელი და უდავოა.

სადად გაგებული სოციალისტური პოლიტიკა ყოველთვის უნდა ისახავდეს მიზნად თავის მოქმედების დროს შეინახოს და გადაარჩინოს ყოველგვარ საფრთხესაგან ეროვნული ორგანიზმი.

თანამედროვე გიგანტურს ხანაში, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო ცხოვრების ტონისა და შინაარსის მიმცემნი დიდტანიანი პოლიტიკური ერთეულები არიან, პატარა ერებს ხშირად უდგანან, კარზე გამანადგურებელი საფრთხე. ამიტომ დღევანდელს ეპოქაში განსაკუთრებული დაჟინებით ხდება საჭირო სადი ეროვნული პოლიტიკის წარმოება, ეროვნული სხეულის გარკვეულს პოლიტიკურს ფორმებში ჩამოყალიბება და მისი ენერგიის მიზანშეწონილად მომართვა.

ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ერის ორგანიზმი და მისი ენერგია ასე მიზანშეწონილად იყო მომართული.

ისტორიულმა ბედისწერამ საქართველოს სხეული დაქსაქსა, დაანაწილა და ამ გვარად დაფლეთილი გადმოსცა შემდეგ თაობას. მაგრამ ამ ნაწილებში არასოდეს არ ჩამქვდარა სავსებით ეროვნული თვითშემეცნება და მათი სამოქმედო მეზი ურთიერთი შეერთებისაკენ იყო მიმართული ერთს მშობლიურს ჭერ ქვეშ. საქართველოს ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედს შეადგენდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლების მოპოება, არამედ ეროვნული ორგანიზმის გამრთელება და დაქსაქსულ ნაწილების თავის მოყრაც და ამ გვარი მთლიანი სახით საერთაშორისო ოჯახში სწორუფლებიან წევრად შესვლა. ეს პოლიტიკა საქართველოს არსებობის შეურყეველ საფუძველს წარმოადგენს და არც ერთი პერიოდი, არც ერთი ხანა ჩვენი ერისა არ მოითხოვს მის შეცვლას და სხვა პოლიტიკის გამომუშავებას ვინაიდგან ამ გეზის შეცვლა უდრის ერის საწინააღმდეგო პოლიტიკის შექმნას. ეს პოლიტიკა პატარა ერის სისხლით გაპოხიერებულმა ისტორიულმა მიმდინარეობამ განამტკიცა და თაობიდან თაობას გადმოეცა სახელმძღვანელოდ. ჭადაროსანმა ისტორიამ ჩვენი სადი ეროვნული პოლიტიკა გვიანდერძა და ამ პოლიტიკური გეზის მთელი დიადი ღირებულება იმაში გამოიხატება, რომ მას შეურყეველს ქვაკუთხედათ, უდევს ბუნებრივი ლტოლვა ერის არსებობისა და წინამსვლელობისათვის და არა სხვისი ჩაგვრა და განადგურება.

ჩვენ პატარა ერი ვართ; ჩვენი ძალა და ფიზიკური ენერგია ვერ აიტანს საერთაშორისო ძალთა ჭიდილის მორევში ჩარევას და გიგანტ მებრძოლებთან პირდაპირ ხმალში გასვლას ბრძოლის მოედანზე. ამიტომ ჩვენი პრაქტიკული მოქმედების სარბიელი საქართველოს საზღვრებით იფარგლება, მის გადაღმა კი იწყება ოცნება და სიზმრები. ჩვენი რევოლიუციონური შემოქმედებისა და პრაქტიკული აქტივობის ნოყიერი ნიადაგი საქართველოს მიწა წყალია და აქ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური მშენებლობის დიდი პროცესები. ჩვენ აქ უნდა შევამზადოთ აქტიური და სუბიექტიური, მატერიალური და სულიერი ნიადაგი კომუნიზმის განსამტკიცებლად. ისტორიულმა ბედმა და გარემოებამ ახოლოდ ეს მოვალეობა დააკისრა საქართველოს მშრომელ ხალხს და ისიც მოვალეა პირნათლად აასრულოს დაკისრებული.

და ამ დიადს პროცესში სოციალური მშენებლობასთან ერთად საქართველოს დემოკრატიამ ეროვნული თავისუფლების, ერთი მთლიანობისა და დაქსაქსულ ნაწილების ერთ მთლიან პოლიტიკურ სხეულში თავის მოყრის პერიოდებიც უნდა განვლოს.

ფეოდალიზმის ბატონობამ საქართველო დაქსაქსა, დაანაწილა და დაახურდავა პოლიტიკურ ერთეულებად. ნაწილი მოსწყვიტა საქართველოს სხეულით დიამეტრი საძიძგნათ გახდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. მენშევიზმმა დაიწყო საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისა და მთლიანობის განმტკიცება, მაგრამ ვერ დაიყვანა ბოლომდის. საბჭოთა სისტემამ ჩვენ უნდა მოგვცეს თავისუფალი და მთლიანი საქართველო.

ჩვენთვის არ არის საკმარისი მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ჩვენ გვწყურია პოლიტიკური და ეროვნულ კულტურული მთლიანობაც ჩვენი ერის და ეს უნდა მოხდეს სადი, მიზანშეწონილი ეროვნული პოლიტიკის გზით.

აქვს თუ არა ასეთი პოლიტიკა დღევანდელ ჩვენს მართველს პარტიას?—არა. მათმა პრაქტიკულმა საქმიანობამ ამ პოლიტიკის საწინააღმდეგო შედეგების წინ დაგვაყენა.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს მდგომარეობა დამოუკიდებლობა დღეს ყველასათვის ნათელია და ჩვენი დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზედ არის აღნიშნული. მეორეს მხრივ ნაცვლად საქართველოსაგან წაგლეჯილ ნაწილების შეერთებისა, ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს სხეულის უფრო დანაწილებისა და საზღვრების აღრევასთან (აფხაზეთი, ბორჩალოს მაზრა და სხ.) დღეს ჩვენ არ ვიცით სად იწყება საქართველო და სად თავდება...

ბათომში და მთელ მუსულმანურს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და პირობები, რომელიც ახალ საფრთხეს [illegible] ქართველი ერის არსებობას, [illegible] ჩვენი მმართველი პარტიის პოლიტიკის ღირებულებას. მუსულმანური საქართველოს საკითხი კვლავ თავისი სიმძიმით წარმოიჭრა ჩვენს წინ და ვიღაც მესამე პირი აფათურებს ხელებს ჩვენს შინაურს საქმეებში. აქ კვლავ ვდგევართ არა ეროვნული კატასტროფის წინაშე.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას გვიკარნახებს მდგომარეობა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდგომარეობა მოითხოვს ეროვნულს ნიადაგზე დგომას და საქართველოს საკითხის საქართველოს რევოლიუციის საზომით გაზნილვას.

საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური თავისუფლებისა და [illegible] საქართველოს [illegible] პერიოდების მტკივნეულ შედეგებს.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ძირიანად უნდა იყოს გადასინჯული და მიზანშეწონილად შეცვლილი.

ჩვენ ამას მოვითხოვთ რევოლიუციისა და კომუნიზმის სახელით.

ს. დევდარიანი.

## ერი და ენა

2.

ვამბობთ: განსაზღვრულ დროსა და პირობებში ადამიანის სახით ნივთიერება გათვითცნობიერდა. ამ გათვითცნობიერებაშია იქმნება ბუნების სულიერ ცხოვრების ხანა. ეს ცხოვრება სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა ნაირად იშლება—განსაკუთრებით ენის ნაქუთებში. ასე რომ ესა თუ ის ენა გათვითცნობიერებულ ბუნების სხვა და სხვა ფორმაა; მით მეტი ღირებულებისაა, რაც მეტია მასში სულიერ მოვლენათა მრავალგვარი თავისებურებანი ამან კი ენა აქცია მარადიულ თვალთმიზნად მის სადარაჯოზედ მცველად—მფარველად და მეობედ დააყენე, შეიძლება შეუგნებლადაც, არა მარტო ამ „წმინდა ტაძრის“ სამწყსო, არამედ მთელი შეგნებული კაცობრიობა! ამის მიხედვით ჩვენთვის სრულიად გასაგები უნდა იყოს თუ რის გამო ყოველი ერი ეთაყვანება და სხვასაც ათაყვანებს თავის ეროვნულ თქმის ქურუმებს! აი, რამ ათქმევინა, თუნდაც ცალმხრივადაც, ბათომელ კომუნისტებს, რომ „ვინც ქართული ენის მაგიერ რუსულ ენაზე ლაპარაკობს დაწესებულებაში საქმის წარმოების აშკარა მტერია საქართველოს საბჭოთა მთავრობისა, აშკარა კონტრ რევოლიუციონერია“. ჩვენ კი დავუმატებდით: „ის შეუგნებელი ბარბაროსია, რადგანაც ხელს უწყობს ქართული ენის „წმიდა ტაძრის“ დაშლას, იმ ტაძრისას, რომელიც წარმოადგენს, როგორც ყოველი ენა, მსოფლიო ღირებულებას“. აქ თვალთსაზრისით ერი ენის საკითხს აყენებს პირველ რიგში და როდესაც უბნობს „არ მინდა არც თქვენი ოქრო, არც ნავთი, არც თეთრი პური“ ამით ის ამჟღავნებს მხოლოდ თავის აწყვიტებას და დრტვინვას. იმ საფრთხის გამო, რომელიც მოევლინა მის ენას მის „ეროვნულ ხულიგ“ ხახეს. შეიძლება ეს საფრთხე მოჩვენებითია—სინამდვილეში მას არავითარი საფუძველი არა ქონდეს. მაგრამ ქართველ ერის ეჭვებისთვის, წარსულში მაინც, დიდი მასალა მოეპოება: ორი საუკუნის განმავლობაში ციმბირში გადაშენდა მრავალრიცხოვანი ხალხი ომოკები, რომელნიც იანის და კალიმის მდინარეთა შუა ძომადობდნენ. მათზე დარჩა თქმულება, რომ „კალიმის ნაპირზე ომოკების კოცონთა რიცხვი სჭარბობდა ვარსკვლავთა რიცხვსაც თვით ცაზედაო“... აგრეთვე გაქრა იუკაგირები და ანაულები მე-XVII საუკუნეში. ამათ მიყვა არინები, ასანები და კოტები, რომელთაც მეცნიერება სთვლის არიელთა მოდგმის ხალხად. წყდება ოსტიაკები, იაკუტები, ოლეკმინსკის მაზრისა, ორონონები და ნაწილობრივ ბურიატებიც. ეს მოხდა [illegible] რუსეთი, რასაკვირველია, ის აღარ არის თაც იყო ამ ოთხი-ხუთი წლის წინეთ მაგრამ ჩვენ ხალხში მისადმი ეროვნული შიში მაინც არსებობს მით უფრო რომ კომუნისტთა შორის ის ამჩნევს არა ერთ და ორ ნაცნობ კონტრ-რევოლიუციონერს და პროვოკატორს, რომელთაც შეუძლიათ აქ ყველაფერი აურიონ და იმისთანა კორიანტელი დააყენონ, რომ მთელი რევოლიუცია უფსკრულში გადაჩეხონ და მით თვით დიადი მოძრაობაც ზნეობრივ გააკოტრონ! სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია ჩვენ „კომუნისტის“ საყვედური ნაციონალისტურ ინტელიგენციისადმი ხალხის მოზხამვის შესახებ, როდესაც ამბობს: „რამდენადაც მწარე არ იყოს ჩვენთვის თქმა იმის, რომ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოლიტიკის წარმოებამ განუწყვეტლივ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმდენად მოწამლა და მოზხამა ჩვენი მუშების გონება, რომ ამის ნიშნები დღესაც ყველასათვის საგრძნობელია“. ეს უმართებულო საყვედურია, რადგან ეს მოწამვლა და მოზხამა „შოვინისტურ სულის კვეთებითა მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში“ არ მომხდარა და ვერც მოხდება და თუ ზოგიერთ რამ „ყველასათვის საგრძნობელ ნიშნებად გეჩვენებათ“ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ „ჩვენმა მუშებმა“ გაგასწრეს და დიდი ხანია შეიგნეს, რომ ეკონომიური ცხოვრება ერთ-ერთი მხარეა იმ მთლიან ერთეულისა, რომელსაც ჩვენ ვეძახით ადამიანის ცხოვრებას და რომ ეს ცხოვრება სრულ იქმნეს, ამისათვის აუცილებელია ეროვნული თავისუფლება, ურომლისოდაც სოციალიზმი უგვამურია, ინტერნაციონალიზმი კი განუხორციელებელი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერავითარი ოქრო და სხვა ღირებულებათა შემოზიდვა საქართველოში ვერ „დასძლევს და ამოფხვრის იმ შოვინისტურ სულისკვეთებას მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში“, რომელიც თქვენ ამ ზომად გაზვიადებთ და ხალხის მოსიყვარულე გულს გიკლავთ ქართველი ხალხი და მასთან ერთად მისი პროლეტარიატი დიდად აფასებს „ურთიერთ ძმურ დახმარებას, სოლიდარობას და ერთობას ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ და რუს მუშებისა და გლეხებს შორის“, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით: მისი ეროვნული სახე—არსებობა არ უნდა იქმნეს შეზღუდული და შელახული. ჯერ კი პირიქით მას აქვს სრული საბუთი ეჭვის თვალით შეაფასოს არა ერთი და ორი ნაბიჯი, რომელიც მის ეროვნულ სახეს შლის და ზღუდავს.

ქართველ ერისათვის სრულიად ცხადია, რომ მისი განკერძოებითი ცხოვრების სფერული გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა ენის დაცვის მიზნით და როდესაც ხედავს როგორი თანდათანობითი ენის [illegible] იზღუდება და ირყვნება, რასაკვირველია, ზრუნავს და თავისებურად, როგორც შეეფერება რუსის ხალხის და მის მიერ წარმოებულ რევოლიუციის მეგობარს—უკმაყოფილებას აცხადებს და ამბობს. „ფრთხილად, მეტის მეტად ფრთხილად, რადგანაც აქ, საქართველოში, რამდენადაც სუსტი იყო სამხედრო ფრონტი იმდენად ძლიერია და დაუნდობელი, შინაგანი ფრონტი“. ქართველმა ხალხმა ისიც კი იცის, რომ შეიძლება დღევანდელ ქართველთა შორის არ იყოს დარჩენილი არც ერთი იმ ხალხისა, რომელიც თავის სულიერ ცხოვრებით არსებობით [illegible] ქართულ ენაში მაგრამ ეს საკითხის ასე თუ ისე არსებითად გადაწყვეტს ხელს არ უშლის, რადგანაც ენის აღიარებს „თვითმიზნად“, როგორც ერთ-ერთ გათვითცნობიერებულ ბუნების აღბეჭდვას და როგორც ეგრეთ-მსოფლიო დიად კულტურულ ღირებულებას. ამის მიხედვით საქართველოში არ არის არც ქართველი, არც სომეხი, არც თათარი, არც რუსი და სხვა ვინმე, არის მხოლოდ ქართული ენის, როგორც თავისებური სულიერ ფორმის; საქმით ახლო თქმით, სადარაჯოზე მდგომი—დღემდე მიწის ზურგზედ ძალიან არსებულ „წმიდა ტაძართა“ ერთ-ერთ მრევლის წევრი, რის გამო ერთხელ კიდევ გვეხდება თქმა: ყველაფერს დავ თმობთ ყოველგვარ საკითხში, მაგრამ ენის საკითხში არაფერს და არასოდეს-ენას უნდა მიეცეს თავის სავარჯიშოდ [illegible] საქართველოს ყველა თავის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებით.

ჩვენთან დიდ ტაძარში მრავალი მაღალი ხილვები... მოწაფდით და განიცადეთ!

მაშ ეგრე საქართველოში მხოლოდ ქართულად!

ი. ჯიშკარიანი

ტფილისი, 11 ივლისი.

## იმპერიალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა

(7)

[illegible]

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, თუ როგორი იყო კოლონიონალ პოლიტიკის ხასიათი ჩამორჩენილ ქვეყნებში. ეხლა უნდა დაუშვად შესაძლებლობა კაპიტალიზმის გამარჯვებისა და გავითვალისწინოთ თუ როგორი იქნება საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ამისათვის კი საჭიროა, საქართველოს პრობლემის სხვა და სხვა მხარე იქნეს აღნიშნული. კაპიტალიზმის გამარჯვების დროს, ორი საზომი უნდა ავიღოთ საქართველოს პრობლემის გადაწყვეტისათვის. პირველი იქნება, საერთაშორისო უფლება მეორე კი საქართველოს სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა. პირველის დახასიათებისათვის ამ თავითვე ნათელია, ჩვენ ვიცით, [illegible] უძველესმა დროში არ იცოდა საერთაშორისო უფლებები: სუვერენული სახელმწიფო იმდენათ იყო თავის სუვერენობის მატარებელი, რამდენათ მას შეეძლო თავისი მდგომარეობის შენარჩუნება საგარეო პოლიტიკაში და შეეძლო თავისი ძლიერებით წინააღმდეგობა [illegible] მეზობლებისა რომელნიც ლამობდნენ [illegible] თუ იმ სახელმწიფოს ოკუპაციას. შემდეგ კი, განსაკუთრებით საშუალო საუკუნეებში, საერთაშორისო უფლება იღებს სახეს მოქმედი ძალისას და იგი ემყარება პოლიტიკურ წონასწორობის სისტემას. მისი მიზანი იყო, დაეცვა საერთაშორისო უფლების სუბიექტური პრინციპი (სახელმწიფოთა უფლებათა, როგორც სუბიექტების საერთაშორისო უფლებისა) და იგი ცდილობდა [illegible] დაცვას სახელმწიფოთა შორის. ამ სისტემის დროს, უფლებრივ ორგანიზაციათ ითვლებოდა სახელმწიფო და არა ერი. პოლიტიკური წონასწორობის სისტემის მიზანი იყო, სახელმწიფოთა შორის წონასწორობის დამყარება, რომელიც თავდები უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი განწყობილებისა, ერთი სიტყვით, ამ სისტემის ძალით, თანაბრად იყოფოდა გამარჯვებულები დამარცხებულთ და ერთმანეთს ნებას არ აძლევდა ზედმეტის მისაკუთრების. ამიტომაც იყო ვესტფალის ზავის ძალით [illegible] პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა, რომ პოლიტიკური წონასწორობა დამყარებულიყო. სწორედ პირველ საზავო ხელშეკრულებით, რომელსაც საფუძვლად ედო პოლიტიკური წონასწორობის პრინციპი, ითვლება ვესტფალის ზავი, ხოლო უფრო სწორი იქნება თუ ასეთ საზავო ტრაქტატად მივიჩნევთ, უტრეხტის საზავო ტრაქტატს, რომელიც შეკრული იყო უტრეხტში, 1713 წ. ივლისის 13-ს. დიდი ბრიტანეთის კოროლევა ანნასა და ისპანიის კოროლ ფილიპე მეხუთე შორის. შემდეგ ამისა, ასეთი სისტემის ხელმძღვანელობას ადგილი ქონდა 1813 წელს, რუსეთსა და ავსტრიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში. საინტერესოა ამ მხრით პარიზის 3 რველი ზავი 1814 წელს 23 აპრილს კონვენციების წარმოებისათვის, რომელიც დაიდო გრაფ არტუას (საფრანგეთის წარმომადგენელს) ავსტრიასთან, პრუსიასთან, რუსეთთან და ინგლისთან. ამ ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო აღნიშნული რომ „მოკავშირეთა სურვილია ევროპის წესიერების დამყარება, ძალთა სამართლიან განაწილებაზე, იმ სახელმწიფოთა შორის. რომელიც შეადგენენ ევროპას“.

ერთი სიტყვით, ეს უფლებრივი სისტემა. იყო ძალების თანაბრად დაყოფის სისტემა. მაგრამ მე-16 საუკ. იწყება ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება. აქედგან იწყება საერთაშორისო უფლების შეცვლაც და იგი ცდილობს იმ საფუძველზე დაყრდნობას, რაც განამტკიცებს ნაციონალურ სახელმწიფოს ინტერესებს. სახელმწიფოსა და ნაციის საზღვრები ერთმანეთს ხვდებიან და აქედან თვით უფლებრივი ნორმებიც მიზნათ ისახავს ხალხს, ერს, როგორც ფუნდამენტს ნაციონალურ სახელმწიფოსას. თუ წინეთ, საერთაშორისო უფლების სუბიექტი იყო სახელმწიფო, (ცრელი თავის ნაციონალურ შემადგენლობით) ახლა ასეთ სუბიექტად მიჩნეულია ეროვნული სახელმწიფო. მაგრამ უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხთუბოლდა ამ უფლების რეალიზაცია სინამდვილეში.

ქონდა თუ არა ვინმეს უფლება ბურების დაპყრობისა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით? ქონდა უფლება ჰოლანდიელებს ბელგიელებზე ბატონობისა? ქონდა უფლება მეტერნიხის ქვეყანას, რომისა, ვენეციის, მილანის და სხვათა ბატონობისა? აქვს თუ არა უფლება ინგლისს ინდოეთის და თავის კოლონიების დამონებისა? ან და რუსეთს კი ქონდა ასეთი უფლება საქართველოსა, პოლონეთისა, სომხეთისა და სხვათა მიმართ? რა თქმა უნდა არ ქონდა.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო უფლება იმპერიალისტური ქვეყნების ხელში უბრალო შირმაა და მეტი არაფერია კაპიტალიზმის გამარჯვებისას, წარმოუდგენელია, რომ საქართველოს პრობლემა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით იქნეს გადაჭრილი და ამ უფლების ნიადაგზე. იქნეს იგი უზრუნველ-ყოფილი. დღეს მეტად გაუფრთხილებელი უნდა იყოს ვინმე, რომ საერთაშორისო უფლებებზედ დაამყაროს იმედი საქართველოს თავისუფლებისა. სულ სხვა ხასიათისაა ის საზომი, რომლითაც საქართველოს საკითხი გადაწყდება. ეს საზომია სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის.

რა საფუძველს იძლევა ჩვენ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ამ მხრივ?

ცხადია, რომ გამარჯვებული ანტანტა დამარცხებულ რუსეთსა და ოსმალეთს არ დაანებებს ამ გემრიელ ლუკმას. გონიერებასთან ახლო იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ინგლისის გამოცდილ კოლონიზატორული ხელი შეეხება, საქართველოს არეს. საქართველო ინგლისის კოლონიად გადიქცევა. ინგლისის კაპიტალი საქართველოში შემოვა როგორც სავაჭრო კაპიტალის სახით, ისე საწარმოო კაპიტალის სახით. პირველის ბატონობისას საშინელი ექსპლოატაციის ნიადაგი ვიქმნებით, ეკონომიური საფუძველი ჩვენი ქვეყნის ხელიდან გამოეცლება. აქედან აშკარა იქნება, თუ რა სახე უნდა მიიღოს ეროვნულმა ცხოვრებამ, ეკონომიკის გარეშე. მაგრამ სავაჭრო კაპიტალთან ერთად აქ საწარმოო კაპიტალიც შემოვა. საწარმოო კაპიტალის ისტორია კოლონიებში აშკარად დამამტკიცებელია იმ გარემოების, რომ იგი აუცილებლად მოითხოვს ქვეყნის პოლიტიკურ მონობასაც, პოლიტიკურ შ გვრასაც. ინგლისის კაპიტალი ოსმალეთში სავაჭრო კაპიტალის ხასიათს ატარებდა და იგი არც ერეოდა მის პოლიტიკურ სფეროში ხოლო გერმანეთის კაპიტალმა კი საწარმოო კაპიტალის სახე მიიღო და ოსმალეთიც თავის კოალიციაში მოაქცია.

სტრატეგიულად, ევროპისათვის საუკეთესო პუნქტი იქნება საქართველო რუსეთისა და ოსმალეთის საზღვრების ბუნებრივად გამაგრებისათვის და აქ რასაკვირველია სამხედრო ძალის გაძლიერებას პირველი ადგილი დაეთმობა, რომელიც მოსალოდნელ საფრთხის დროს მარაგად შეინახება საქართველოს ხარჯზედ.

თქმა იმისა თუ, როგორ ფორმას მიიღებს საქართველოს მდგომარეობა დეტალურად, შეუძლებელია, ხოლო ნათელია ერთი დებულება, რომ გააფთრებული რეაქცია იმ პატარა წყალობასაც მოაკლებს საქართველოს, რითაც დღეს სარგებლობს ინგლისის კოლონიები, რადგან დღეს ინგლისი იძულებულია კომპრომისზე წავიდეს, რათა თავი დააღწიოს სამ ძალას, რომელიც ინგლისის ბატონობას უპირისპირდება. ეს ძალებია: კოლონიები, რევოლუცია და ამერიკა.

თუ ვინ შესძლებს გამარჯვებას ეს სხვა საკითხია. ხოლო ინგლისის გამარჯვება, როგორც კაპიტალიზმის უძლიერესი მებრძოლისა, დაამხობს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

რომელია მეორე გზა? რომელ ძალას შეუძლია საქართველოს პრობლემის გადაჭრა ჩვენ სასარგებლოდ? ეს ძალაა ევროპის რევოლუცია, გაიმარჯვებს კი რევოლუცია? ამაზე შემდეგ.

ხერ. ამაღლობელი.

# ახალი ამბები

— ს. ფაშალიშვილის საღამო დღეს, ხუთშაბათს, ივლისის 14 ქართული კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება პოეტის ს. ფაშალიშვილის საღამო. საღამოს პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი და მონაწილეობენ ტფილისის საუკეთესო ძალები. პირველ განყოფილებაში წარმოთქმული იქნება სიტყვები ქართული პოეზიის შესახებ. მეორე განყოფილებაში ალ. იმედაშვილისა და ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: პიესა „გამარჯვებულთ არა სჯიან“ მესამე განყოფილება შესდგება საკონცერტო და სალიტერატურო ნაწილისაგან, რომელშიაც მონაწილეობენ ბოშათა რომანსების შემსრულებელი თამარ წერეთელი, მგოსნები: ი. გრიშაშვილი, ოვანეს თუმანიანი, ს. ფაშალიშვილი, კ. გამსახურდია, მარიჯან, შ. ამირეჯიბი, ოპერის მსახიობნი ივ. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, დ. აკოფაშვილი და სხვანი.

# რადიო

**ვრანგელიადის მოსპობა**

ბათომი. კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ვინაიდან სერბიამ, უარი განაცხადა ვრანგელის ჯარის ნაწილების მიღებაზე და იღებს მხოლოდ ლტოლვილებს, ამისთვის ვრანგელმა დაკარგა ყოველივე იმედი მომავალზე და გასცა ბრძანება, რომლის ძალით ყველა მსურველებს შეუძლიათ დაბრუნება სამშობლოში, ასეთ პირებს წინააღმდეგობას არ გაუწევენ. ჯარში ისეთი განწყობილებაა, რომ ყველა მზადაა დაბრუნდეს სამშობლოში. გარდა იმისა, რომლებსაც თავისუფლების წინააღმდეგ მიუძღვის აქტიური დანაშაული.

**ბერძნები ვერ გაუძლებიან ფრაკიას.**

ბათომი. ჟურნალი „ორიანი“ იტყობინება, რომ „თურქ-ბოლგარების რევოლუციონურმა ორგანიზაციამ ფრაკიაში დაიწყო ფართო პარტიზანული მოქმედება ბერძნების წინააღმდეგ.

**მდგომარეობა ინგლისში.**

(დასაწყისი არ მიგვიდია) მაისის დასაწყისში ინგლისში შიმშილსა და ტანჯვას განიცდიდა ოჯახითურთ 6 მილიონამდე კაცი. უმუშევართა ზრდა წარმოადგენს ინგლისის მრეწველობის მდგომარეობის გამოსახვას. „შრომის გაზეთი“-ს უკანასკნელი ცნობით საფეიქრო მრეწველობის 90 პროც. მუშაობს მხოლოთ ნაწილობრივათ. ფართლეულობის წარმოებაში 50 მილიონ საფეიქრო დაზგიდან ერთის კვირის განმავლობაში მცირე ხნობით მუშაობს 40,537 დაზგა. ასეთივე სურათია ფოლადისა და თუჯის ჩამოსასხმელ დარგებში. თუჯის დამუშავება კლებულობს ყოველ თვიურათ. იანვრის ნაწარმოებთან შედარებით თებერვლის ნაწარმოები შემცირდა 25 პროც. ფოლადის დამუშავება იანვრისა და თებერვლის განმავლობაში შემცირდება 37 პროც. ამის და გვარად შემცირდა მუშათა ხელფასიც. 1918 წ. გამოცდილი მემანქანე თვიურათ ღებულობდა 160 შილინგს, 1916 წელს კი 208 შილინგს შრომის ხელფასი გადიდდა 30 პროც., ამის გამო სიძვირე კი გადიდდა 60 პრ. 1920 წლისათვის შრომის ხელფას. გადიდდა 127 პრ. სიძვირე 169 პრ. ეს ციფრები გვიჩვენებს იმას, რომ მიუხედავათ შრომის ხელფასის გადიდებისა, ინგლისის პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე ეს იყო ომამდე.

# სამედიატორო სასამართლო.

(გაგრძელება)

გრ. რცხილაძე (თავმჯდ.) რა იცით ს. დადიანი საქმის შესახებ?

ს. დადიანი—უშუალოდ საქმის შესახებ არაფერი ვიცი. ვიცი გადმოცემით, რომ თ. ღლონტი კერძო ბარათებით თხოულობდა შ. გაბრიჩიძისაგან ფულს, აგრეთვე ფ. მახარაძისაგან—ორივე წერილზე არის რეზოლუცია: მიეცეს სოც.-ფედ. კომიტეტს ამდენი და ამდენი. არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი კონფერენციის დროისა: „ძმაო ფილიპე, კონფერენციაზე გამოცხადდა 100 დელეგატი, მათი გამოკვებაა საჭირო, გამომიგზავნე ფული“.

# ბათომს

ზეცამ გაგწირა, აღარ გინდობს ავი ფატუმი,
შენი მიდამო შენ შოძმეთა ძვლებით აივსო.
კვლავ სანატრელი შეიქმენი ჩემო ბათომო,
ჩემო ბათომო უცნაურო და სამაისო.

მოვდივარ შენთან სიხარულით და სათნოებით,
მინდა დავკოცნო შენი მთები, შენი ბაღები;
ვეღარ შევხედავ შენს წამებას მე მყუდროებით
და თუ ვერ გიხსნი—სასიკვდილოთ დავიდაღები.

ნუ დაგადონებს მტერთა რისხვა და შეგინება,
მალე დაღდება ჯოჯოხეთის მწარე სახმილი,
თეთრი ჭაბუკა ცეცხლის რაშით მოგევლინება
და შუა გაჰკვეთს გველეშაპებს ბასრი მახვილით.

ჩაუქრობელია სიყვარული ჩვენი მუნჯური
და სანამ სცოცხლობს ჩვენი ლაშქრის მტკიცე მარჯვენა
შენი ფორტები,—თოფის წამლით გადარუჯული—
აგუგუნდება საქართველოს გადასარჩენად.

ივ. უიფიანი.

მარტი 1921 წ.

თავმჯდომარე. ნახეთ თვით თქვენ ეს დოკუმენტები?

ს. დადიანი—არა.

თავმჯდ.—სხვა რა იცით საქმეზე?

ს. დადიანი—არა ვიცი რა.

მოწმეს მხარეები არაფერს ეკითხებიან და იწყება შემდეგი მოწმის ჩვენება.

თავმჯდომარე—მოწმე ს. ხუნდაძე, გვითხარით რა იცით იმ ფულების შესახებ, რომელსაც თედო იღებს გაზეთის ანგარიშით?

ს. ხუნდაძე—ეს მოვლენა სრულიად ჩვეულებრივია, მთელს რუსეთში ანალოგიური წესია. არც აქ შეიძლება კერძო გაზეთის გამოცემა თუ არა სახელმწიფოს საშუალებით. ჩვენში შაბლონი სავსებით არ არის დაცული. აქ მოლაპარაკების შემდეგ რევკომმა ნება მოგვცა გაზეთი გვექონდა, მაგრამ ისეთ ფასებში, რომ რედაქციის ხარჯები დაფარულიყო.

თავმჯდ. როგორაა ფული გამოტანილი.

ს. ხუნდაძე—ფულს ვიღებდით კანტორის ოფიციალური ანგარიშის მიხედვით. ანგარიში ერთხელ იყო წარდგენილი და რაკი რევკომმა რამდენიმე მილიონის ანგარიში ერთად არ გაასწორა, თ. ღლონტისაგან, როგორც გაზეთის ხელმძღვანელისაგან ვიღებდით კერძო ბარათით და ფულს მოგვცემდენ.

თ. ღლონტი—იყო თუ არა შემთხვევა, რომ ფულს სულაც არ იძლეოდენ?

ს. ხუნდაძე—ვიცი, ძალიან ხშირად.

პ. საყვარელიძე—როდის გამოიტანე ფული და რამდენი?

ს. ხუნდაძე—გამოვიტანე მე აპრილის მიწურულში ერთი მილიონი.

თავმჯდ. მოწმე დ. წერეთელი, რა მოლაპარაკება არსებობდა ბოლდატიევთან?

დ. წერეთელი—ბოლდატიევმა გაზეთი მოითხოვა დღიურად 300—400 ცალი და ჩვენ უსასყიდლოდ არ მივეცით. სხვა პირობა არაფერი იყო. ეს პირობა მან არ შეასრულა და მოვშორდით.

ივ. ჯაფარიძე—რამდენი მიიღე გრუკავროსტადან?

წერეთელი—მივიღეთ სულ ნახევარი მილიონი დიდი ვაი-ვაგლახით და ისიც აპრილის მაგიერ ივნისში.

პ. ქავთარაძე—სულ რამდენჯერ გაქვს მიღებული?

წერეთელი—კარგად არ მახსოვს, სამჯერ თუ ოთხჯერ.

თ. ღლონტი—უანგარიშოთ იღებდით თუ კანტორის ანგარიშებით?

წერ.—ანგარიშების ქვეშ.

თ. ღ. რა ეწერა ანგარიშებში?

წერ.—ფულს მოითხოვდნენ სტამბის მუშებისა, დამტარებლებისა და კანტორისა. ამათი ხელფასი იყო ნაანგარიშევი.

ივ. ჯაფარიძე—რამდენია სულ ფული გამოტანილი?

წერეთელი—უნდა იყოს თებერვლის დამლევიდან ხუთი თვის განმავლობაში ოთხი თუ ოთხნახევარი მილიონი სულ.

პ. საყვარელიძე—რისთვის აწერდით რომ რვა მილიონი გვერგებოდაო?

წერეთელი—უკანასკნელ დღეებსაც ვიღებდით მხედველობაში და დაახლოვებით ვამბობდით.

თ. ღ.—ანგარიშები რამდენჯერ წაიღე?

წერეთელი—გრუკავროსტაში ერთი და იგივე ანგარიში წავიღე ორჯერ, რევკომში ერთხელ, მგონი რევკომს პირველი ანგარიში დაკარგვა და მეორე თვით კანტორის გამგეს დაუმზადებია გასაგზავნად.

**30 ივნისის სხდომა.**

მოწმეთაგან არ გამოცხადებულა შ. გელოვანი, გ. გამრეკელი, ბოლდატიევი.

გრ. რცხ. თქვენ გრ. მიქაშავიძევ, გქონდათ საუბარი პ. ს.—თან მის შესახებ, რომ თედო ღლონტს მიღებული აქვს რევკომიდან ფული. შემდეგ თქვენ ეს ცნობა გადაეცით ღლონტს, მოიგონეთ დაწვრილებით ყოველივე და დაახლოვებით გადმოგვეცით ისე, როგორც მოხდა.

მიქაშავაძე. ერთ დილით შევხვდი პავლე საყვარელიძეს, რომელმაც მითხრა რომ გაზეთ „სოციალისტ ფედერალისტში“ არის მოწინავე წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველმა ზეიმით იდღესასწაულა 26 მაისი, ფულის მიმღები არ შეიძლება სხვანაირად სწერდეს. ამაზედ მე მეტად აღვშფოთდი და შევეკითხე მას: მოსყიდულია თუ არა თედო ღლონტი მეთქი. მან მიპასუხა: მოსყიდულია თუ არა მე არ ვიცი, მაგრამ ფულს რომ იღებს ეს კი ვიციო. ამავე დროს იქ მყოფმა მისმა პარტიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მოსყიდულია და ავტომობილიც აქვს მიცემული მთავრობისგანო. მე ვუპასუხე რომ ავტომობილი ეკუთვნის კოოპერაგ „მეურნეს“ და თედო ღლონტი როგორც თავმჯდომარე კოოპერატივის, სარგებლობს მით. თუ თქვენ გინდათ, რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ მობრძანდით კოოპერატივის კრებაზე და მოითხოვეთ, რომ თედო ღლონტი ავტომობილით არ სარგებლობდეს. შემდეგ თედო ღლონტს გადავეცი, რომ ვითომ შენ ფული გამოგქონდეს რევკომიდან, მაშინ მან მიპასუხა: რამდენი კაცი ქუჩაში ლაპარაკობს მას ყურადღებას ვერ მივაქცევო, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ამას ლაპარაკობს არა ვინმე ქუჩის ხალხი არამედ ისეთი პოლიტიკური სიმძიმის მატარებელი როგორიც არის პავლე საყვარელიძე მაშინ საშინელი იყო თედო ღლონტის აღშფოთება.

ივ. ჯაფარიძე. სთქვა თუ არა პავლე საყვარელიძემ თედო ღლონტი მოსყიდული არისო?

მოწმე—მან სთქვა მოსყიდულია თუ არა არ ვიცი, მაგრამ ფულს რომ იღებს ეს კი ვიციო.

ივ. ჯაფ.—პავლე საყვარელიძემ პირდაპირ უწოდა თედო ღლონტს მთავრობის აგენტი თუ არა?

მიქ.—ეს სიტყვა არ უწოდებია.

პ. საყ. გაზეთის გამოცემის შესახებ მე მითხარი რამე თუ არა?

მიქ.—მე, რამდენადაც თედოდგან ვიცი, გაზეთის გამოცემა საერთო წესით სწარმოებს და იგი სახელმწიფოს ხელში იმყოფება. მაშინ თქვენ განაცხადეთ: მეც ვიყავი რედაქტორი, ვიღებდი სახელმწიფოდან ფულს და თუ მთავრობის წინააღმდეგ დავწერდი, მაშინ რასაკვირველია არაფერს მომცემდენო.

პ. საყ.—თედო ღლონტზე დავიწყე პირდაპირ ლაპარაკი თუ საერთოდ გაზეთზე? ვიხმარე თუ არა სიტყვა რომ თედო ღლონტი მოსყიდულია?

მიქ.—თქვენ სიტყვა „თედო ღლონტი მოსყიდულია“ არ გიხმარიათ.

პ. საყ.—თქვენ [illegible] გამოიტანეთ, [illegible] გაზეთის შესახებ.

მიქ.—ეს იყო იმიტომ, რომ საუბარი შეეხებოდა „სოციალისტ-ფედერალისტის“ მოწინავეს 26 მაისის შესახებ.

პ. საყ.—მე ვსთქვი რომ ფულის მიღება მუშებისა და მოსამსახურეთა ამავე დროს არის სხვა ფორმა ფულის მიღებისთქო?

მიქ. მართალია, (თქვით. მოწინავის შესახებ—კი ერთმა დამწრეთაგანმა განაცხადა—რომ მოწინავეთ არის შეცდომით გაშვებული გრუკავროსტას ხრონიკა. მაშინ პავლე საყვარელიძემ სთქვა, რომ თუ ეს ასეა იმ შემთხვევაში არაფერი ითქმისო.

თ. ღლონტი—26 მაისის შესახებ იყო ერთი თანამშრომლის წერილი „პრომეთეს“ რომელიც თავისებურად ახასიათებდა 26 მაისს. იცის თუ არა მოწმემ, რომ გრუკავროსტასგან რედაქცია იღებს ქრონიკას?

მიქ.—რამდენადაც მე შემინიშნავს (ხშირად შევდივართ რედაქციაში) გრუკავროსტიდან რედაქცია იღებს ქრონიკას. როდესაც მე წავიკითხე 26 მაისის შესახებ ქრონიკა მოწინავედ, მეც გამიკვირდა, მივმართე თედოს ისიც მეტად აღელდა, როდესაც წაიკითხა გაზეთი, რადგან მისი ავადმყოფობის გამო შეცდომით ყოფილიყო ისე დასტამბული.

თ. ღლონტი.—იცის თუ არა მოწმემ რომ საყვარელიძემ საუბარი დაიწყო ჩემზე როგორც პიროვნებაზედ, თუ გაზეთის ხელმძღვანელზე?

მიქ. მან სთქვა, რომ თედო ღლონტი ფულს ღებულობსო და მე-კი ვუთხარი, რომ ეს ფული გაზეთის ანგარიშში არის აღებული მეთქი.

თ. ღლ. პ. საყვარელიძემ საუბრის დროს გაყო თუ არა ჩემი პიროვნება როგორც პიროვნება და როგორც გაზეთის ხელმძღვანელი?

მიქ. ასეთი გაყოფა არ ყოფილა.

თ. ღლ. სად ხდებოდა ეს მუსაიფი? შეიძლებოდა თუ არა ამ საუბარს დასწრებოდა ვინმე?

მიქ. ეს საუბარი იყო ქუჩაში, რუსთაველის პროსპექტზე. და მოსმენა შეეძლო ყველას ვისაც-კი სურდა.

თ. ღლ. პ. საყვარელიძის საუბრიდან შეეძლო თუ არა ვინმეს დაესკვნა რომ თედო ღლონტი მოსყიდული არისო?

მიქ. ერთმა იქ მყოფმა კიდეც განაცხადა, რომ მოსყიდულებისაგან, სხვაგვარი წერილების წერაც არ შეიძლებაო.

პ. საყ. დაბეჯითებით განაცხადა, რომ არ არსებობს ისეთი წესი, რომლითაც მთავრობის ხარჯით სწარმოებდეს გაზეთის გამოცემა და მთავრობა კიდევ უყურებდეს გაზეთსო.

თ. ღ. მე თქვენ გეკითხებით, როდესაც საყვარელიძემ გითხრათ თ. ღლონ. ფულს იღებსო როგორი შთაბეჭდილება მიიღეთ თქვენ ჩემს შესახებ?

მიქ.—ცხადია ჩემზე მოახდინა გავლენა, რადგან თუ კი გაზეთის ფული არ გეგულებოდათ, რასაც ამტკიცებდა პ. საყვარ. მაშინ თქვენ მოსყიდული უნდა ყოფილიყავით.

თ. ღლონტი. რა ადგილი მიჭირავს მე კოპ. „მეურნეში“?

მიქ. თქვენ ხართ მეურნეს თავმჯდომარე.

თ. ღლონტი. რა მაქვს ჯამაგირი?

მიქ. 200,000 მანეთი.

თ. ღლონ. მაქვს თუ არა რაიმე შეღავათი სურსათის მხრივ?

მიქ. როგორც ყველა მოსამსახურეებს, გაქვთ.

თ. ღლონ. როგორი ნდობით მიყურებს მე კოპ. მეურნეს კოლეგია?

მიქ. რომ სრული ნდობით გიყურებს ამის დამამტკიცებელია თქვენი თავმჯდომარეობა.

თ. ღლონ. ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ ვინმე საპატიო წევრი მკაცრად დამისჯია?

მიქ. ყოფილა.

თ. ღლონტი. რამდენი წელიწადია „მეურნეში“ ვმუშაობ?

მიქ. 6 წელიწადი არის.

თ. ღლონტი. როგორი იყო ჩემი მდგომარეობა, როდესაც თქვენ გამომიცხადეთ, რომ ჩემს შესახებ მოსყიდვას ლაპარაკობენო?
და როგორი იყო ჩემი მდგომარეობა მას შემდეგ როდესაც მითხარით რომ ეს პ. საყვარელიძემ სთქვაო. მიქ. მანამდე თქვენ ყურადღებაც არ მიაქციეთ, ხოლო შემდეგ მეტად აღშფოთდით.

თ. ღლონტი—წინა სხდომაზე აქ იყო თქმული ვითომცდა მე კონფერენციის დე-

ლეგატებისათვის სურსათი მომეთხოვოს მთავრობისაგან, შენ, როგორც გამგეს კოოპერატივის გქონდა თუ არა წინდაწინვე ზოგი მიღებული დელეგატების სურსათისათვის

მიქ.—ზარზან, მე-5 კონფერენციისათვის სამი კვირით ადრე მქონდა გაფუთხილები მიღებული დელეგატების სურსათისათვის ხოლო წელსაც ადრევე მივიღე გ ფუთხილები და კიდევაც ვამლევდით დელეგატებს თითო გირვანქა პურს

თ. ლ.—პურის გარდა დელეგატებს ეძლეოდათ თუ არა სხვა სანოვაგე და სად იგზავნებოდა იგი.

მიქ.—დელეგატის სადილისათვის სურსათი იგზავნებოდა სტუდენტთა სასადილოში. მათ ეძლეოდათ კიდევ ლობიო. არის კიდეც ამის საბუთები ჩვენი დელეგატთა ხელმოწერილი.

პ საყ.—თუ იცით, თ. ლლონტთან ურთიერთობა ამ ბოლო დრომდე, როგორი იყო მტრული თუ მეგობრული?

მიქ.—რამდენათაც მე ვიცი, თქვენ შორის მეგობრული განწყობილება იყო.

პ. საყ.—საუბარი შუა ქუჩაში ხდებოდა სადაც ყველას შეეძლო მოსვლა თუ განაპირას, როგორც მეგობარი და ახლო ნაცნობთ ჩვევიათ შეჩერება სადაც ყველას გარდა ახლო ნაცნობ პირებისას არ შეუძლია მისვლა?

მიქ.—როდესაც ვსაუბრობდით ხესთან ვიყავით გაჩერებული, მართალია, ახლო მოსვლა შეეძლო მხოლოდ ნაცნობებს, მაგრამ თუ კი ვინმეს მოესურვებოდა შეეძლო ისედაც მოესმინა.

პ. საყ.—რაჭომ დაუპირდაპირე მე გაზეთი „სხივი" გაზეთ „სოც.-ფედ."-ს მე ვეხებოდი პიროვნებას თუ გაზეთს?

მიქ.—პირველად საუბარი იყო გაზეთზედ, ხოლო შემდეგ კი როგორც პიროვნებას.

პ. ქავთარაძე—მაგ. ავიღოთ, რომ ვინმე გაერიდეთ ლლონტს ჩაედინა ასეთი საქციელი, მაშინ პ. საყ. ილაშქრებდა? იყო თუ არა თედო ლლონტზედ ლაპარაკი, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეზედ?

მიქ.—რასაკვირველია თ. ლლონტი ფასდებოდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, თორემ ბევრი იღებს დღეს ფულს, მაგრამ მის შესახებ არავინ ლაპარაკობს.

პ. საყ.—მე ვსთქვი, რომ „გრუზკავროსტა" თუ გამოსცემს გაზეთს ისევე როგორც იყიდოსო?

მიქ.—დიახ მართალია თქვენ სთქვით

თ. ლ.—როდესაც შენ ჩემთან შემოდი მაშინ კოწია გამსახურდია და გ. ქიქოძე იყვნენ მათ ხუმრობით სადილი მთხოვეს რა უთხარი მე? ან თქვენ რა მითხარით.

მიქ.—თქვენ უთხარით, რომ ლობიო და პურის მეტი, არაფერი მაქვს და თუ გინდათ დამეპატიჟეთო. მაშინ მე კი გითხარით, რომ თუ კი ფულს იღებ, როგორც ამბობენ, რისთვის ლობიოთი სადილობთ და არა წიწილებითო.

გრ. რცხილაძე. ხომ არ ჩქვეთ თქვენ, რომ პოლიტიკურმა მოღვაწემ შეიძლება მიიღოს ფული, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ და შესაძლებელია მიიღოს. როგორც გაზეთის წარმომადგენელმა. თქვენ პ. საყ. საუბრის შემდეგ რას ფიქრობდით. რა იქონიობდა თქვენ საუბარში თ. ლლონტთან, ის რომ ფულს იღებს პირადათ ის, თუ ფულს იღებს პოლიტიკური მოღვაწეობისთვის, გაზეთისათვის

მიქ. თედო ლლონტს ვიცნობ, როგორც უანგაროს და მე წმინდა პიროვნებას და როდესაც მას მოვთხოვე ჩვენთვის გაერკვია მიზეზი ფულის მიღებისა, მე მოვთხოვე, როგორც პარტიის წევრმა, როგორც პარტიის ხელმძღვანელთაგანს, რადგან აქ ჩირქი ეცხებოდა როგორც პირადათ თ. ლ. ისე პარტიასაც.

გრ. რცხილაძე. გქონდა თუ არა ეჭვი, რომ თ. ლ. იღებს ფულს პირადათ? შეეძლო თუ არა თ. ლლონტს ეფიქრა, რომ შენ მასში ეჭვი შეგქონდა?

მიქ. შეეძლო ეფიქრა, რომ მასში ეჭვი შემქონდა.

ჯაფ. იცოდი თუ არა რისთვის იღებდა გაზეთი ფულს?

მიქ. არა ერთხელ ვსთქვი და თუ საჭიროა კიდევ მოგახსენებთ, რომ მე ვიცოდი თ. ლ. რედაქცია ფულს იღებდა გაზეთის ანგარიშში.

პ. ქავ. იცი თუ არა რა და რა ხარჯები სჭირია გაზეთს?

მიქ. მე ფარმაცევტი გახლავარ ახლა კოოპერატივში ვმუშაობ და სარედაქციო საქმეების წვრიმალნი არ ვიცი.

პ. ქავ. ახლო იდექი თუ არა ამ ჯგუფთან?

მიქ. „სოც.-ფედ." ჯგუფთან იმდენად ვლიდან იდგა არა მარტო ჩვენი პარტიის წევრები, არამედ ყველა ქართველი იყრიდა მის გარშემო თავს.

პ. ქავ. როგორი ხასიათი მიიღო შემდეგ გაზეთმა და როგორი შეხედულება გაქვთ თქვენ მასზედ.

მიქ. ეს ჩემ ოწმენის შეეხება და გთხოვ ეს მარტო მე ვიცოდე.

პ. ხ. ვსთქვი თუ არა მე, რომ ეს გაზეთი დამოკიდებულია და სხვაგვარად წერა შეუძლებელიათქო?

მიქ. მართალია, სთქვით.

თ. ლ. როდესაც თქვენ ჩემ შესახებ პ. საყ. გითხრათ ფულს იღებსო თქვენვე გიცნობდით, როგორც პიროვნებას თუ როგორც საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელს?

მიქ. მე გიცნობდით, როგორც პიროვნებას და როგორც საზოგადოებრივ მოღვაწესაც.

თ. ლ. თქვენ დაარწმუნეთ პ. საყ. რომ მე მოსყიდული არ ვიყავი?

მიქ. მე უთხარი მას, რომ ოედოსაგან შეუძლებელია ფულის მიღება, თუ იგი გაზეთის ანგარიშში არ იქნებოდა.

თავმჯდომ. გთხოვთ ჩვენება მოგვცეთ. მოქ. გ. ჭუმბურიძე.

პ საყ. თქვენ დაახლოვებული იყავით „ს. ფ." რედაქციასთან?

ჭუმ. დაახლოვებული არ ვიყავი, მხოლოდ წერილებს ვაწვდიდი.

პ. საყ. ღებულობდით ჰონორარს თუ არა? ან რამდენს ღებულობდით?

ჭუმ. პირველ ხანებში ვღებულობდი 15 მ. სტრიქონზედ, შემდეგ კი 40 მ.

პ. საყ. საიდან იხდიდა რედაქცია ამ ფულს?

ჭუმ. მე შევეკითხე რედაქტორს და მითხრა, რომ გაზეთი საერთო წესს ემორჩილება და ვამომცემლობა მთავრობას ხელშია.

პ. საყ. თანამშრომლობის ჰონორარსაც მთავრობა იხდიდა თუ არა?

ჭუმ. არ ვიცი. ამის შესახებ ცალკე არაფერი უთქვამს.

თ. ლ. იცნობთ თუ არა გაზ. „ს. ფ." სამეურნეო ნაწილს დაახლოვებით?

თ. ლ. ვისგან მიიღე ჰონორარი, კანტორისაგან თუ ჩემგან?

ჭუმ. ჰონორარი მივიღე თქვენ.

თ. ლ. მე გითხარით, რომ ჰონორარს მთავრობიდან ვიღებთო?

ჭუმ. ამის შესახებ არც მე მიკითხავს და არც თქვენ გითქვამს რამე.

თ. ლ. რომ გაიგეთ ჰონორარის მომატება საერთოდ, თქვენ მოითხოვდით თუ არა.კომპენსაციით რომ არ მოგვემატებინა ჩვენ?

ჭუმ. რასაკვირველია მოვითხოვდი.

თ. ლ. გაგიგონიათ თუ არა, რომ თ. ლლონტი არის შებღალული პიროვნება და თუ გაგიგონიათ ვისგან.

ჭუმ. უკანასკნელ დროს ხმები იყო გავრცელებული და თქვენ თვითონ მითხარით, რომ საზიზღარი წერილი დასწერეს, რომლის მზგავსი ჩემს სიცოცხლეში არ დამიწერიაო და ეს მომივიდა იმისთვის, რომ პ. საყ. უთქვამს ჩემს შესახებ მოსყიდულიაო. მე გითხარით რომ ყოველ შემთხვევაში თ. ვშეკავება საჭიროა მეთქი.

პ. ხ. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზედ თედოს წერილმა ჩემს შესახებ, რომ სწერდა. იყო თუ არა შიდ საერთოდ თავის მართლება, მისი მიქმედებისათვის.

ჭუმ. დაწვრილებით წერილის შინაარსი არ მახსოვს.

თ. ლ. რამდენი ხანია თქვენ მიცნობთ?

ჭუმ. 1912 წ. გიცნობთ როგორც საზოგადო მოღვაწეს.

თ. ლ. რა შეხედულება გქონდათ ჩემზედ, ან წინათ პირადათ მიცნობდით თუ არა?

ჭუმ. მე გიცნობდით, როგორც პატიოსან პიროვნებას. ჯერ კიდევ პეტერბურგში გიცნობდი, სადაც ლარიბულად ცხოვრობდი, მაგრამ საზოგადო საქმესაც აკეთებდი.

პ. საყ. საჭიროა გუშინდელ მოწმეს, ნინო ნეიმანს შევეკითხოთ.

გრ რცხილაძე. ჭუმბურიძის ჰონორარი გაბერებულია შიგნებში თუ არა?

ნეიმანი. არ არის გაბერებული, ეს თედოს აქვს გაბერებული

თ. ლ. ეხლა ქაღალდის საქმე შემდეგშია: ქაღალდს ჩვენ ვღებულობდით უსასყიდლოდ. ჩვენ არაბიძის ქაღალდი არ გვაქვს. ქაღალდის ყიდვა არ შეიძლებოდა. ალვძარით შუამდგომლობა, რომ ნება მიეცათ ჩვენთვის დარიცხული ქაღალდის ყიდვისა. ვითხოვეთ 200 ფ. მოგვცეს 100 ფ. ყიდვის ნება. ქაღალდი „სოვნხოზის" განკარგულებაში იყო, მივწერე პანიევს ბარათი. დამითმო 100 ფ. შემდეგ ფული მომთხოვა. ფარი ფუთხარი არც გვაქვს და ვერც შემდეგში გადავიხდით.

გრ. რც. 100 ფ. ქაღალდი ფასად მიიღეთ?

თ. ლ. ჩვენზედ ირიცხება ვალად.

პ. ხ. რა ღირს 100 ფ. ქაღალდი?

არაბიძე. ფუთი ღირს 300,000.

თ. ლლონტი—ქაღალდი რომ მიღიარდი ღირდეს ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. სახელმწიფოდან მიღებულს ხალხს ვუბრუნებთ. რომ მესამედი ჩვენი გაზეთისა მუქთად ურიგდება მუშებს, გლეხებს, სამკითხველოებს და დაწესებულებებს. რაც იყიდება ისიც საარაკო იაფ-ფასში. ჩვენ გაზეთის სპეკულიაციას არ ვეწევით და არც სპეკულიანტების ფულებით ვარსებობთ.

## ფილახის 1 ხხდომა.

მოწმეთაგან გამოცხადდნენ შ. გელოვანი, გ. გამრეკელი, ს. ამადლობელი.

თავმჯდ. საჯაროთ დავკითხოთ მოწმეებს თუ არა?

პ. საყვ. სჯობია. რომ არ იქნებოდეს საჯაროდ დაკითხული.

თედო ჩვენ არასოდეს არაფერი დაგვიმალია და დასამალავი ეხლაც არაფერი გვაქვს. ეს სამართლო კიდევ ერთხელ ოწმუნდება ჩვენი ნათქვამის ყოველს სიმართლეში. კატეგორიულად მოვითხოვ, რომ მოწმეთა დაკითხვა მოხდეს. საჯაროდ.

პ. საყვ. არც მე ვარ საჯაროდ დაკითხვის წინააღმდეგი, მაგრამ ვშიშობ, რომ ძოწმეებმა ყველაფერი ვერა სთქვან საჯაროდ.

თედო—ვაცხადებ თანხმობას დახურული კარებში მოწმეების დაკითხვისათვის, დეე ეს დახურული კარები გავშინჯოთ, მაგრამ მხოლოდ ერთის აუცილებელი პირობით მე ვიცი, რომ მოწმეები მხოლოდ იმას იტყვიან, რაც მე თვითონ სასამართლომდეც საჯაროდ არა ერთხელ მითქვამს, თუ გამართლდება ჩემი ეხლანდელი ნათქვამი და მოწმეების სიმართლის ხმა იქნება რასაც მე ვაცხადებ და რაც არავითარ საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ არ იფიქროს ხალხმა, რომ დახურულ კარებში სადაც დიდი საიდუმლოებანი გადაიმალა, ამიტომ მოვითხოვ ამ ცდის შემდეგ გამოცხადებულ იქმნეს მოწმეთა ჩვენება.

— ხდება ორი მოწმის დაკითხვა დახურულ კარებში.

თავმჯ, სხდომას საჯაროდ ვხსნი. სასამართლომ მოისმინა 2 მოწმის ჩვენება დაკითხვის დროს გამოირკვა, ის, რაც უკვე გამორკვეული იყო ზევით, მათი ნათქვამი არ ეწინააღმდეგება უკვე ნათქვამს სხვა მოწმეების მიერ. მიმაჩნია ზედმეტად მთელი ჩვენების განმეორება.

თედო—კმაყოფილი ვარ ამ განცხადებით.

თავმჯ. (დ. წერეთელს) თქვენ ამბობთ, რომ თქვენ და შ. ნუცუბიძე ერთად იყავით „გრუზკავროსტაში" გაზეთის გამოსვლის პირობების გასაგებად. თუ გახსოვთ როდის იყო ეს?

დ. წერეთელი. არ მახსოვს დაწვრილებით.

თავმჯდ. ამ დროისთვის თქვენ ხომ არ ჰქონიათ რამე მოლაპარაკება რევკომთან პირობების გაგების შესახებ?

დ. წერეთელი. არა.

თავმჯდ. ამ პირველათ გრუზკავროსტასთან დაიწყეთ მოლაპარაკება არა?

დ. წერ. დიახ!

თავმჯდ. როდესაც თქვენ და შ. ნუცუბიძე მიდით „გრუზკავროსტაში" ქაღალდის შესახებ ხომ არ ჰქონიათ ლაპარაკი?

დ. წერ. არა.

თავმჯდ. რა გამოარკვიეთ მოლაპარაკების დროს. „გრუზკავროსტას" ფული უნდა გადეხადა იმ გაზეთებისა, რომელსაც იგი წაიღებდა და კედლებზე გააკრავდა არა?

დ. წერ. დიახ.

თავმჯდ ფულის მისაღებად რამოდენიმეჯერ იყავით?

დ. წერ. დიახ!

თავმჯდომარე. რევკომში ხომ იყავით შემდეგ?

დ. წერეთელი. დიახ! ვიყავით. შალიკო ნუცუბიძემ უთხრა რევკომის წევრს რომ ჩვენ გვერგება „გრუზკავროსტიდან" გაზეთის ფული, მაგრამ არ გვაძლევსო.

თავმჯდ. ბოგდატიევიდან მიიღეთ რამე?

დ. წერეთელი. მივიღეთ 500,000 მან. ისიც შემთხვევით ქაღალდი მართებდა და იმის მაგივრად მივიღეთ ფული.

თავმჯდ. თქვენ ხომ არ მოგისმენიათ ის მოლაპარაკება, რომელიც ქონდა შალვა ნუცუბიძეს რევკომის წევრთან დაწვრილებით?

დ წერეთელი. არა.

პ. საყვარელიძე. თქვენ ამტკიცებთ რომ გრუზკავროსტიდან მიიღეთ 500,000 მან. ამავე დროს ამბობთ, რომ რევკომიდან მიიღეთ 1 მილ. მანეთი. რომელი მიიღეთ პირველად?

დ. წერეთელი. პირველათ მივიღეთ რევკომიდან 1 მილ. მან „за счет грузкавроста".

თავმჯდ. რევკომიდან რომ ფული მიიღეთ, ის როგორ, რა სახით მიიღეთ, როგორც გრუზკავროსტიდან კუთვნილი ფული, თუ როგორც ცალკე თანხა?

დ. წერეთელი. რევკომში მე მქონდა წარდგენილი ასლი იმ ანგარიშისა, რომელიც წარდგენილი იყო გრუზკავროსტაში; ასე რომ ეს ფული მივიღეთ როგორც გრუზკავროსტადან კუთვნილი ფული.

თავმჯდომარე. რევკომის რომელიმე წევრთან წაგიღიათ კერძო ბარათი როდისმე?

დ. წერეთელი. კი.

თავმჯდომარე. წაგიკითხავთ კერძო ბარათი?

დ. წერეთელი. შემთხვევით, ვინაიდან ბარათი კონვერტით იგზავნება.

თავმჯდ. რა ეწერა.

დ. წერეთელი. შემთხვევით წაკითხულში ეწერა: მუშები გვაწრჩობენ, კანტორის მოსამსახურეები უჯამაგიროდ არიან, „გრუზკავროსტადან" გვერგება ფული და მოგვეცითო.

თავმჯდ. ხომ არ ყოფილა რევკომის ასეთი განკარგულება, მიეცეს სოც.-ფედ. კომიტეტსო?

დ. წერეთელი. არ მახსოვს.

თავმჯდ. ხომ არ ყოფილა ასეთი განკარგულება: მიეცეს კომპარტიის თანაგრძნობ სოციალისტ-ფედერალისტებსო?

დ წერეთელი. ასეთი განკარგულება არ იყო.

თავმჯდ. ორდერებს კითხულობდით ხოლმე?

დ. წერეთელი. ვკითხულობდი.

თავმჯდ.—რა ეწერა?

დ. წერეთელი—მიეცეს გაზ. „სოც.-ფედერალისტს" კარგათ არ მახსოვს. არ მაინტერესებდა ეს და არ მახსოვს.

თავმჯდ.—არ გახსოვს ვის სახელზე იყო დაწერილი წერილი?

დ. წერეთელი—არ მახსოვს ამისათვის არ მიმიქცევია ყურადღება. მე მხოლოდ ფული მომქონდა.

ჯაფარიძე—რეზოლიუციას ამ კერძო ბარათზე ადებდა ფ მახარაძე?

დ. წერეთელი—დიახ!

პ. საყვარელიძე—აი, მე ერთი საკითხი მაინტერესებს. აქ მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა რომ გრუზკავროსტიდან თქვენ მაინც და მაინც დიდი თანხა არ გერგებოდათ. იმ წერილში კი, რომელიც ჩემ წინაშემდეგ იყო დაწერილი აღნიშნული იყო, რომ გვერგება 8 მილ. მანეთიო. საიდან გამოვიდა ეს 8 მილ. მან. ხომ არ იცით თქვენ?

დ. წერეთელი—ჩემ აქ ყოფნის დროს შედგენილი გვქონდა გრუზკავროსტაში წარსადგენი ანგარიში, რომლის მიხედვითაც ჩვენ გვერგებოდა 4 მილ მან. შემდეგ მე წავედი სოფელში. როცა ჩამოვედი გავიგე, რომ ჩვენი ჯგუფი წარმომადგენელს მოლაპარაკება გაემართა მთავრობასთან და შეთანხმებულიყვნენ, რომ ხარჯი კანტორისა და სტამბისა გაესტუმრებია გრუზკავროსტას დახლოვებით ეს ხარჯები უდრიდა 8 მილ. მან. ამაში შედიოდა მუშების ხარჯიც. ეს იყო ნაანგარიშევი დღიდან გაზეთის გამოშვებისა უკანასკნელ დრომდე. ყოველ შემთხვევაში მე არ ვარ კანტორის მოხელე და ზედმიწევნით ციფრს ვერ ვიტყვი.

პ. საყვარელიძე—[illegible] მუშებს და კანტორის [illegible] ლად [illegible] საჭირო 8 მილ. მან. სად უნდა წასულიყო ეს დანარჩენი ფული?

თ. ლლონტი—ის ფული რომელიც მიღებული იქნებოდა „გრუზკავროსტადან" და მთავრობიდან კერძო პირის ჯიბეში არ ჩავიდოდა, ეს უკვე ყველას მოეხსენება. თქვენ საკითხს ძალიან აფართოებთ. ამის უფლებას ვერ მოგცემთ, ვინაიდან სასამართლოში წამოყენებულია ჩემი პირადი საკითხი.

პ. საყვარელიძე—დაკმაყოფილებული ვარ.

პ. ქავთარაძე—როდის იყო პირველად გაცემული ფული რევკომიდან?

დ. წერეთელი—არ მახსოვს.

თავმჯდ. მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა რომ ის იყო აპრილის ბოლო რიცხვებში.

ქავთარაძე. როდის იყო წარდგენილი რევკომში პირველი ანგარიში.

დ. წერეთელი. არა უადრეს 20 მარისისა.

თავმჯდ. ეს ანგარიში შედგენილი იყო რევკომის სახელზე თუ გრუზკავროსტას სახელზე?

დ. წერეთელი. რევკომის სახელზე.

თავმჯდ. აპრილში რომ მიიღეთ ფული, ეს ანგარიშის ქვეშ მიიღეთ თუ ისე?

დ. წერ. ანგარიშის წარდგენით.

თედო. თქვენ ამბობთ. რომ ფული მიიღეთ აპრილის ბოლო რიცხვებში.

დ. წერეთელი არ მახსოვს.

თ. ლლონტი. ასე სთქვი, თორემ თავს რომ აქელიხებთ რა არის ეს. მე ვეკითხები კანტორის გამგეს, ქალბატონ ნეიმანს: გრუზკავროსტაში რომ ანგარიში გაიგზავნა, რა ეწერა იმ ანგარიშში.

ნეიმანისა. შინაარსი ანგარიშისა ასეთი იყო: ვწერდი, რამდენი გაზეთი იყო წაღებული და ფასს სხვას არაფერს არ ვწერდი.

პ. ქავთარაძე როდის დაიწყეთ ბატონო გამრეკელო სამსახური რევკომში.

გ. გამრეკელი აპრილის პირველ რიცხვებში.

პ. ქავთარაძე როდის იყო პირველი გაცემა ფულის?

გ. გამრეკელი არ ვიცი. მე მოლარე არ ვყოფილვარ.

თავმჯდომარე წარმოდგენილია ერთი დოკუმენტი: დრ. მთ. კომიტეტისა თედო არის კომიტეტის ხაზინადარი და რედაქციის სამეურნეო ნაწილის გამგე, ყოველი თანხა დრ. მთ. კომიტეტის მხედველობის ქვეშ არის.

თედო ვინაიდან შ. გელოვანის და გ. გამრეკელის ცნობები არსებითად არაფერს შეიცავდნენ, ყოველ ცნობისათვის უმჯობესია პირდაპირ ბუხჰალტერის დაკითხვა.

პ. საყვარელიძე საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს მხოლოდ მგონია რომ საქმისათვის საჭირო არ არის.

თავმჯდომარე (ლლონტს) რისთვის გინდათ თქვენ რომ ბუხჰალტერი იყოს მოწვეული.

თ. ლლონტი- აქ ბრალდება არის ჩემ წინააღმდეგ რომ ანგარიშის გარდა არის მიღებული ფულით. ეს გამოწვეულ მოწმეებს არ სცოდნიათ საჭიროა ამიტომ ბუჰალტერის მოწვევა.

საყვარელიძე, ასეთი ბრალდება არ არის.

თ. ლლონტი არა, ბრალდება სწორედ ამაშია. ამას ამტკიცებს ბრალდების ფორმულა.

სასამართლო ბჭობს და ადგენს იქნეს გამოწვეული ბუჰალტერი, ჭანიშვილი და ს. ამადლობელი. შემდეგი კრება დანიშნულია კვირას 11 საათზედ.

(შემდეგი იქნება)

---

რედაქტორი თედო ლლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.


ძ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოფერია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშთა სნეულებით ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმი
აპოლონ ურუშაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ხეხუთისის ქუჩა 13 ბინა 1. 29